საქმე N2/14307-26

12138508704542

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

17 სექტემბერი, 2026 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ქეთევან კურცხალია

მოვალე - შპს ,,საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია''
დირექტორი- მერაბ ჯიშიაშვილი
მოთხოვნა - გადახდისუუნაროობის საქმის წარმოების გახსნა რეაბილიტაციის რეჟიმით

განმცხადებელი - საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

წარმომადგენელი (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) - დავით გეწაძე

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და გამოარკვია:

2026 წლის 21 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს ,,საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციის'' დირექტორმა და მოითხოვა შპს ,,საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციის'' მიმართ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 44-ე და 47-ე მუხლების მიხედვით რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის და ამავე კანონის 64-ე მუხლის თანახმად რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შემდგომ სააქციო საზოგადოების მოვალის მართვაში დატოვების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2026 წლის 09 ივნისის განჩინებით განცხადება დასაშვებად იქნა ცნობილი და გაიხსნა რეაბილიტაციის რეჟიმი.

2026 წლის 27 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილი იქნა განცხადება მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად - მორატორიუმის ცალკეული ღონისძიებების გაუქმების შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მისი შეტანიდან 5 დღის ვადაში. თუ განმცხადებელი არის კრედიტორი ან სხვა მესამე პირი, სასამართლო ვალდებულია დანიშნოს ზეპირი მოსმენა.

აღნიშნულის გათვალისწინებითა და საკითხის განხილვის მიზნით კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2026 წლის 23 სექტემბერს, 14:00 საათზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-13, მე-19, 47-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას **2026 წლის 23 სექტემბერს, 14:00 საათზე, სხდომის დარბაზი N 49,** თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64 კილომეტრი) შემდეგი დღის წესრიგით:

- მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმების მოთხოვნის განხილვა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge);

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მისამართი - თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **ქეთევან კურცხალია**